

გრიპისმაგვარ დაავადებებსა და მძიმე მწვავე რესპირაციულ ინფექციებზე ეპიდზედამხედველობის სისტემა საქართველოში

მაგდა ონიკაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
ჯანდაცვის მენეჯმენტში აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ირმა კირთაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაგდა ონიკაშვილი

19/06/2025

აბსტრაქტი

გრიპისმაგვარი დაავადებები (ILI) და მძიმე მწვავე რესპირაციული ინფექციები (SARI) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, როგორც გლობალურ, ისე ეროვნულ დონეზე, რაც მათი სწრაფი გავრცელების, მძიმე კლინიკური მიმდინარეობისა და მაღალი სიკვდილობის მაჩვენებლებით აიხსნება. აღნიშნული დაავადებების ეფექტიანი მართვა მოითხოვს გამართული ეპიდზედამხედველობის სისტემის არსებობას, რომელიც უზრუნველყოფს შემთხვევათა დროულ იდენტიფიცირებას, მონაცემთა ხარისხიან შეგროვებასა და ანალიზზე დაფუძნებულ პრევენციულ გადაწყვეტილებებს. საქართველოში ILI-სა და SARI-ზე ეპიდზედამხედველობის სისტემა 2006 წლიდან საყრდენ ბაზებზე დაფუძნებული მოდელით ფუნქციონირებს, თუმცა პრაქტიკაში კვლავ იკვეთება საკოორდინაციო, ოპერაციული და რესურსებთან დაკავშირებული გამოწვევები.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზნია საქართველოში მოქმედი გრიპისმაგვარი დაავადებებისა და მძიმე მწვავე რესპირაციული ინფექციების ზედამხედველობის სისტემის მოქმედი მექანიზმების შეფასება. კვლევა ეფუძნება თვისებრივ მეთოდოლოგიას და მოიცავს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (NCDC) დასაქმებულ პროფესიონალებთან ჩატარებულ რვა ნახევრადსტრუქტურირებულ ინტერვიუს. მონაწილეები შეირჩა მიზნობრივი შერჩევის მეთოდით, კვლევის დიზაინი კი დაფუძნებულია თემატური ანალიზის სტრატეგიაზე.

კვლევამ გამოავლინა, რომ საქართველოში მოქმედი ზედამხედველობის სისტემა სამი თანმიმდევრულად დაკავშირებული კომპონენტისგან შედგება — სენტინელური სამედიცინო დაწესებულებები, ლაბორატორიები და ცენტრალური საკოორდინაციო ინსტიტუცია (NCDC). რესპონდენტთა შეფასებით, სისტემა სტრუქტურულად გამართულია და გააჩნია ინტეგრაციის უნარი, რაც კრიზისულ სიტუაციებში ეფექტიანად მუშაობის საშუალებას იძლევა. ამავდროულად, სისტემის სუსტი

წერტილებია: საყრდენ ბაზებზე პერსონალის ხშირი ცვალებადობა, შემთხვევების სტანდარტული განსაზღვრებების არასწორი გამოყენება პირველადი რგოლის მიერ, მონაცემთა შეგროვებისა და ელექტრონულ სისტემაში გადატანის არაეფექტიანი მექანიზმები, რაც გამოიხატება ქაღალდის ფორმების გამოყენებით და ინფორმაციის ხელით გადატანით და მალტიპლექს ტესტირების ფინანსური ბარიერები.

მონაცემთა მართვის პროცესი მრავალდონიან კოორდინაციას ეფუძნება და მოიცავს კლინიკური შემთხვევების იდენტიფიცირებას, ბიოლოგიური სინჯების აღებას, ლაბორატორიულ ტესტირებასა და საბოლოო მონაცემთა ცენტრალიზებულ დამუშავებას. რესპონდენტთა შეფასებით, სისტემის ფუნქციონირების შედეგად მიღებული მონაცემები უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების დასაბუთებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა ვაქცინაციის კამპანიების დაგეგმვა, სამედიცინო რესურსების მობილიზაცია და მაღალი რისკის პაციენტთა იდენტიფიცირება.

კვლევის შედეგად მიღებული მიგნებები მიუთითებს, რომ ILI-სა და SARI-ზე ზედამხედველობის სისტემა საქართველოში ფუნქციურად ჩამოყალიბებული და გამართულია, თუმცა საჭიროებს პროცესების ოპტიმიზაციასა და არსებული მექანიზმების გაძლიერებას, განსაკუთრებით ადამიანური რესურსების გადამზადებისა და ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით. პრაქტიკოსი პროფესიონალების ხედვებზე დაფუძნებული ანალიზი ქმნის მტკიცე საფუძველს ზედამხედველობის სისტემის განვითარებისთვის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებზე დროული და კოორდინირებული რეაგირების შესაძლებლობების გაფართოებისთვის.

სამიუბო სიტყვები: გრიპისმაგვარი დაავადებები, მძიმე მწვავე რესპირაციული ინფექციები, ეპიდზედამხედველობა, SARI, ILI, სენტინელური სისტემა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, მონაცემთა მართვა, საქართველო

Abstract

Influenza-like illnesses (ILI) and Severe acute respiratory infections (SARI) remain a significant challenge for public health systems at both global and national levels, due to their rapid transmission, severe clinical course and high mortality rates. The effective management of these diseases requires the existence of a well-functioning epidemiological surveillance system that ensures timely case detection, high-quality data collection and evidence-based decision-making. In Georgia, the ILI and SARI surveillance system has operated since 2006 based on a sentinel site model, however, in practice, it continues to face challenges related to coordination, operational functionality and resource availability.

This thesis aims to assess the operational mechanisms of the surveillance system for ILI and SARI currently in place in Georgia. The study is based on a qualitative research methodology and includes eight semi-structured interviews with professionals employed at the National Center for Disease Control and Public Health (NCDC). Participants were selected through purposive sampling and the research design was guided by thematic analysis.

The findings reveal that the surveillance system in Georgia consists of three interconnected components: sentinel medical institutions, laboratories and the central coordinating body (NCDC). According to respondents, the system is structurally sound and possesses the capacity for integration, which enables it to function effectively during crisis situations. At the same time, several weaknesses persist within the system, including frequent staff turnover at sentinel sites, inconsistent application of standardized case definitions by first-contact providers and inefficiencies in data collection and digital transfer — particularly the reliance on paper-based forms and manual data entry. Financial barriers related to multiplex testing are also noted.

Data management is based on multi-level coordination and includes the identification of clinical cases, collection of biological specimens, laboratory testing and centralized data

processing. According to respondents, the data generated through this system plays a crucial role in informing key public health decisions such as planning vaccination campaigns, mobilizing medical resources and identifying high-risk patient groups.

The study's findings indicate that while the ILI and SARI surveillance system in Georgia is functionally established and operational, it requires targeted optimization and the strengthening of existing mechanisms, particularly in the areas of human resource capacity and digital transformation. The analysis, grounded in the perspectives of field professionals, provides a strong foundation for advancing the surveillance system and enhancing Georgia's ability to respond promptly and effectively to public health threats.

Keywords: Influenza-like illness, Severe acute respiratory infection, Surveillance, SARI, ILI, Sentinel system, Public health, Data management, Georgia